2017 წლის 5 მაისს 12:00 საათზე გაიმართება სამეურვეო საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებია:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მიერ მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სახელზე 2017 წლის 25 აპრილს N1614/03 გამოგზავნილი სამსახურებრივ ბარათში (იხ.დანართი) აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

2. მიმდინარე საკითხები;

სხდომა გაიმართება სამეურვეო საბჭოს სხდომათა ოთახში.

მის. თბილისი, კოსტავას ქ. #68

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის"
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ გრიგოლ გოგელიას

სამსახურებრივი ბარათი

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 07.04.2017წ. №369 (ოქმი №247) გადაწყვეტილების საფუძველზე, მაუწყებლის გენერალურ დირექტორს დაევალა 2 (ორი კვირის) ვადაში წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რომელიც მკაფიოდ დაარეგულირებს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა და ხელმძღვანელობის წვდომას კონფიდენციალურ ინფორმაციაზე და მათ ვალდებულებებს ამ ინფორმაციის დაცულობის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებული ვადის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა პროექტზე და მაუწყებლის დებულებაში შესატანი გარკვეული სახის ცვლილებები შემუშავებული იქნა ჩვენს მიერ, აღნიშნული დოკუმენტის (პროექტის) სრულყოფილად დამუშავების და მომზადების მიზნით, გთხოვთ, ერთი თვით გადაგვივადოთ მისი წარმოდგენის ვადა.

პატივისცემით,

ვასილ მაღლაფერიძე
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის"
გენერალური დირექტორი

25 04 2017
№ 1614/03